ვახტანგ ბერიშვილი

Université Catholique de Lille

ერასმუს+-ის აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, 2023 წლის მარტში, ვიმყოფებოდი ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში (საფრანგეთი).

ვიზიტის დროს ჩავატარე ლექციების კურსი მენეჯერული აღრიცხვის თემებზე მენეჯმენტის, ეკონომიკისა და მეცნიერების ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის. ლექციებზე განვიხილეთ მენეჯერული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები, პასუხისმგებლობების შესაბამისი ანგარიშგება და შედეგების შეფასება, რელევანტური დანახარჯების აღრიცხვა და ტიპიური გადაწყვეტილებების მიღების პრინციპები. თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საშუალება მომეცა საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ორმოცზე მეტი სტუდენტისთვის საქართველოსა და კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ მიმეწოდებინა ინფორმაცია. მოდულის ბოლოს ჩავატარე გამოცდა და, მოხარული ვარ, რომ სტუდენტებმა საშუალოზე მაღალი შედეგები აჩვენეს.

შევხვდი ადგილობრივ აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განვიხილეთ საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსგავსი ვიზიტების დიდი მნიშვნელობა.